ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 151

ქ. თბილისი 22 ოქტომბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის წესით ერთის მხრივ, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის **ირაკლი მუკნიაშვილის** სახით და მეორეს მხრივ შპს „ტელკო სისტემსი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი გულიაშვილის** სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ხელსაწყოები (**CPV კოდი: 44500000; 44510000 ხელსაწყოები**) (შემდგომში საქონელი) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2 **ფასების ცხრილი:**

საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	**რ-ბა**	**განზ.**	**მწარმოებელი**	**მოდელი**	**ერთეულის ფასი**	**საერთო ფასი**
ფანჩდაუნ კაბელის როზეტზე დასაჯეკი ხელსაწყო, TC-PDT Punch Down Tool with 110 and Krone Blade	1	ცალი	Trendnet	TC-PDT	65.57	65.57
ჯეკ მეიქერი ხელსაწყო : RJ45+RJ11 ტიპის ჯეკის დასაჯეკი ხელსაწყო, TC-CT68 RJ-11/RJ-45 Crimp/Cut/Strip	1	ცალი	Trendnet	TC-CT68	52.16	52.16
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით;						**117.73**

2. საქონლის ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **117.73 (ასჩვიდმეტი ლარი 73 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს და მოსაკრებელს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველსა და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. შემსყიდვლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ეკონომიკური სამსახურის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდება ხორციელდება, ქ. თბილისში, მიმწოდებლის მისამართზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.3 მიმწოდებელმა შემსყიდვლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

5.5 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

6. გარანტია

6.1 საქონელზე ვრცელდება გარანტია შემდეგი პირობებით: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან გარანტია ვრცელდება 1 (ერთი) წლის ვადით. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ქარხნული დეფექტის ან წუნის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით „10 (ათი)" სამუშაო დღის ვადაში (განსაკუთრებულ შემთხვევაში გონივრულ ვადაში) უზრუნველყოს დაზიანებისა და წუნის აღმოფხვრა ან/და დაზიანებული საქონლის ჩანაცვლება ანალოგიური პარამეტრების მქონე ახალი საქონლით;

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, ორივე მხარი მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისთვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლო თანხა შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,02 % პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მოწოდების ვადას გადააცილებს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაგადაცილებული დღეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოსთან ერთად დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით და შესწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდვლის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11..2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11..3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
11.3.1 თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ინსპექტირება. ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდვლის უფლებამოსილი წარმომადგენლები: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ეკონომიკური სამსახურის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების პირველი ან/და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და ინფორმაციული სისტემის და ქსელების ადმინისტრირების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული გუგა ყარალაშვილი. (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი").
12.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
12.2.1 გაუწიოს ინსპექტირება საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს.
12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტისა.

15.2 ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საქონლის მთლიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

15.3 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ელექტრონულად/ელექტრონული შტამპით რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება	შპს „ტელკო სისტემსი"
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის 221კ 1ა
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. #6	საიდენტიფიკაციო კოდი: 205203279;
საიდენტიფიკაციო კოდი: 206351758.	საბანკო რეკვიზიტები: ,,თიბისი ბანკი"
ტელ: 555096767	ტელ : 2727200;
საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა,	ბანკის კოდი: TBCBGE22;
სახაზინო კოდი 3802	ა/ა GE75TB 4021 5360 2010 0006;
---	---
დეპარტამენტის უფროსი	**ირაკლი გულიაშვილი**
ირაკლი მუკნიაშვილი	**დირექტორი**

Irakli Guliashvili

Digitally signed by Irakli Guliashvili
DN: cn=Irakli Guliashvili, serialNumber=62001007654, o=Citizen, c=GE
Date: 2019.10.22 17:04:10 +04'00'

მე, შემსყიდველის მხრიდან ხელისმოწერი, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) დადგენილ წესების შესაბამისად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში შპს „ტელკო სისტემ"-თან.